საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზარიძეების სამაროვანი

ზარიძეების სამაროვანი, VI–VII სს. არქეოლოგიური ძეგლი. აღმოჩენილია 1982 სოფ. ზარიძეების მახლობლად (თიანეთის მუნიციპალიტეტი), მდ. ქუსნოს სათავეებთან. მიკვლეულ ქვის სამარხში აღმოჩნდა: სარდიონის სასანური გემა, მძივები და 2 მონეტა. ელიფსური ფორმის ნარინჯისფერი სარდიონის საბეჭდავი, რ-საც აქვს ზონრის გასაყრელი ნახვრეტი. საბეჭდავის პირზე გამოსახულია წვერიანი მამაკაცის ბიუსტი პროფილში. მეფე კავადის ვერცხლის დრაქმები მოჭრილია VI ს. დასაწყისში სასანური ირანის ორი სხვადასხვა პროვინციის ზარაფხანებში. მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმში.

ლიტ.: წ ო წ ე ლ ი ა მ., სასანური წარმოშობის მასალა სოფ. ზარიძეებიდან, {ძეგლის მეგობარი}, 1985, №70.

მ. წოწელია

ბ. ჯორბენაძე